

შპს ტეტროსი

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
სრული შემოსავლის ანგარიშგება	5
ფულადი ნაკადების ცვლილებების ანგარიშგება	6
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	7
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	8
ძირითადი საქმიანობა.....	8
ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა.....	8
ფული და ფულის ექვივალენტები	11
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	11
სასაქონლო მატერიალური მარაგები.....	11
გრძელვადიანი აქტივები	12
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12
საგადასახადო ვალდებულებები	13
შემოსავალი	13
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	13
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	13
სხვა შემოსულობა/ზარალი	13
კაპიტალი	14
საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები	14



შპს ტეტრისი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

31.12.2024-ის მდგომარეობით (ქართულ ლარში)

	2024	2023	2022
აქტივები			
<i>მიმდინარე აქტივები</i>			
ფული და ფულის ეკვივალენტები	237 348	72 374	169 269
საგაჭრო მოთხოვნები	1028 878	1436 965	1482 743
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	945	1 217	31
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	10 828	86 913	280 778
წინასწარ გადახდილი საბიუჯეტო გადასახადი	246 405	274205	138 034
მოკლევადიანი სათამასუქო მოთხოვნები	41 095	41 095	83 100
დარიცხული მოთხოვნები	721	401 204	401 204
სულ მიმდინარე აქტივები	1566 220	2313973	2555 159
<i>სასაქონლო მატერიალური მარაგი</i>			
ნედლეული და მასალები	79 969	76 283	78 685
დაუმთავრებელი წარმოება	20 437	68 164	74 821
მზა პროდუქცია	6044 725	6376 496	7279 425
სულ სასაქონლო მატერიალური მარაგი	6145 131	6520 943	7432 931
<i>გრძელვადიანი აქტივები</i>			
მიწის ნაკვეთები	1213 000	1213 000	1213 000
შენობები	11426 172	8352 098	8000 732
მანქანა-დანადგარები და საწარმოო ინვენტარი	31 026	106 126	184 946
ოფისის ტექნიკური აღჭურვილობა	3 585	8 577	14 740
ავეჯი და სხვა ინვენტარი	900	1 500	2 488
სატრანსპორტო საშუალებები	3 857	5 786	7 714
გრძელვადიანი ინვესტიციები	18675 370	18888 295	17807 895
სულ გრძელვადიანი აქტივები	31353 910	28575 382	27231 515
სულ აქტივები	39065 261	37410 298	37219 605
კაპიტალი და ვალდებულებები			
<i>მიმდინარე ვალდებულებები</i>			
მოწ. და მომსახ. წარმოქმნილი ვალდებულებები	198 083	212 976	207 743
მიღებული ავანსები	2 730 356	3208 819	3439 808
შეცდომით ჩარიცხული თანხები	6 950	6 950	6 950
გადასახდელი ხელფასები	78 213	139 650	136 500
მოკლევადიანი ვალდებულება გრძელვადიანი ინვესტიციების დაფარვაზე		59 609	148 639
წინასწარ ჩარიცხული საიჯარო ქირა	45 500	45 500	45 500

გადასახდელი პროცენტები	364 467	273 526	105 888
სულ მიმდინარე ვალდებულებები	3423 568	3977 030	4091 028
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	12428 406	11043 780	11955 137
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	12428 406	11043 780	11955 137
საკუთარი კაპიტალი			
კაპიტალი	3	1419 140	1139 000
გაუნაწილებელი მოგება	23213 284	20970 348	20034 440
სულ საკუთარი კაპიტალი	23213 287	22389 488	21173 440
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	39065 261	37410 298	37219 605

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით

დირექტორი დავით ფანჯაკიძე თბილისი, საქართველო 01 აპრილი 2025 წელი



შპს ტეტრისი

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ქართულ ლარში)

	2024	2023
ამონაგები ძირითადი საქმიანობიდან	3180441	3467 974
რეალიზებული პროდუქციის	-379499	- 926 401
თვითღირებულება		
საერთო მოგება	2800 942	2541 573
საოპერაციო ხარჯები	- 1480 933	- 1327 109
საწარმოო ხარჯები	- 38 533	- 76 377
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	- 1442 358	- 1250 681
მიწოდების ხარჯები	- 42	- 51
საოპერაციო მოგება	1320 009	1214 464
არასაოპერაციო შემოსავალი და ხარჯი	- 1601 848	- 1012 557
განსაკუთრებული შემოსავლები	949	84 734
საპროცენტო შემოსავლები		
ძირითადი საშუალების რეალიზაცია	- 1203 855	- 1120 805
საპროცენტო ხარჯები	- 382 235	- 2 625
საკურსო სხვაობა	- 9 704	27 968
კონვერსიის სხვაობა	- 7 003	- 1 829
განსაკუთრებული ხარჯები		
წმინდა მოგება (ზარალი)	- 281 839	201 907

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით

დირექტორი დავით ფანჯაკიძე თბილისი, საქართველო

01 აპრილი 2025 წელი



შპს ტეტრისი

ფულადი ნაკადების ცვლილებების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ქართულ ლარში)

	2024	2023
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	72 374	169 269
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	-2488237	1 865 274
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	-859154	-1 108 529
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	3518652	-880 136
სავალუტო კურსის ეფექტი	-6287	26 496
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	237 348	72 374

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით

დირექტორი დავით ფანჯაკიძე თბილისი, საქართველო

01 აპრილი 2025 წელი



შპს ტეტრისი

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ქართულ ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2022 წლის 31 დეკემბერი	1139000	0	20 034 440	21 173 440
წმინდა მოგება	-	-	201 907	201 907
სხვა სრული შემოსავალი	-	-	734000	734000
გაცემული დივიდენდი	-	-		0
საწესდებო კაპიტალის ზრდა	280 140	-		280140.03
2023 წლის 31 დეკემბერი	1 419 140	0	20 970 347	22 389 487
წმინდა მოგება			-281 839	-281 839
სხვა სრული შემოსავალი			2524776	2524776
გაცემული დივიდენდი				0
საწესდებო კაპიტალის ზრდა	-1 419 137			-1419137
2024 წლის 31 დეკემბერი	3	0	23 213 284	23 213 287

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით

დირექტორი დავით ფანჯაკიძე თბილისი, საქართველო

01 აპრილი 2025 წელი



შპს ტეტრისი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ქართულ ლარში)

ძირითადი საქმიანობა

ტეტრისი (შემდგომში კომპანია) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმო, რომელიც დაფუძნდა 2011 წლის 21 აპრილს.

კომპანიის მფლობელობა წარმოდგენილია შემდეგი სახით

	2023 წელი	2022 წელი
დავით ფანჯაკიძე,	31%	31%
ნიკოლოზ ხმაღაძე,	27%	27%
თამაზ მარტიაშვილი	15%	15%
გიორგი ხმაღაძე,	27%	27%

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობა. დამატებით ახორციელებს საოფისე ფართების გაქირავებას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

ზოგადი ინფორმაცია

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის (მსს ფასს სტანდარტი) შესაბამისად.
არსებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს 2024, 2022 და 2022 წლების 31 დეკემბერს დასრულებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებებს 2024 და 2023 წლების 31 დეკემბერს დასრულებული სრული შემოსავლის ანგარიშგებებს. საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას, 2024 და 2023 წლების ფულადი ნაკადების ანგარიშგებას და ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებს.
კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით. ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია ქართულ ლარში, რომელიც ამავე დროს წარმოადგენს კომპანიის ფუნქციურ ვალუტას.

მსს ფასს-ის პირველადი გამოყენება

ეს ფინანსური ანგარიშგება, მომზადებული 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. კომპანიამ მოამზადა ფინანსური ანგარიშგება, რომელიც შეესაბამება მსს ფასს-ს, მოქმედს 2024 წლის 31 დეკემბერს ან შემდეგ დასრულებული პერიოდებისთვის, 2023 წლის 31 დეკემბრის შესადარისი პერიოდის მონაცემებთან ერთად.

ფუნქციონირებადი საწარმო

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე. კომპანიის 2024 წლის შედეგი იყო ზარალიანი, (2023 წლის საოპერაციო მოგება შეადგენდა 201907 ლარს). 2024 წელს ზარალი გამოწვეულია იმ ფაქტით რომ 2023_ში რეალიზებულია უკვე აშენებული საცხოვრებელი კორპუსი და მზადდება ახალი შენობა შემდგომი რეალიზაციისათვის. აღნიშნული ფაქტების გათვალისწინებით, ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ კომპანია თავისი ვალდებულებების გადახდისუნარიანია და კომპანიის ოპერაციების მომგებიანობით გაგრძელების შესაძლებლობა აქვს.

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან აღიარდება მაშინ, როცა მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები თანხის რეალური ღირებულებით, ფასდათმობისა და რეალიზაციასთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგ) გამოკლებით. წინასწარ მიღებული ავანსები განიხილება, როგორც გამოუმუშავებელი შემოსავალი.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის დასრულებისათვის არსებული კანონმდებლობის შესაბამისად. საქართველოს საგადასახადო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, შეიცვალა კომპანიების დაბეგვრის ადრე არსებული მოდელი, რომლიც ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. განახლებული საკანონმდებლო ბაზის მიხედვით კომპანიას არ უწევს მოგების გადასახადის გადახდა, სანამ არ მოხდება მოგების განაწილება დივიდენდების გატანით ან სხვა ფორმით

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების ერთეულები ფასდება თავდაპირველი ღირებულებით, დაგროვილი ცვეთის და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. ღირებულება მოიცავს ნასყიდობის ფასს, იმპორტის მოსაკრებელს და სხვა პირდაპირ მიკუთვნებულ გადასახადებს. როდესაც ძირითადი საშუალების ერთეული შეადგენს მთავარ კომპონენტებს, რომელსაც აქვს ექსპლუატაციის სხვადასხვა ვადა, ისინი ითვლება, როგორც ცალკეული ძირითადი საშუალების ერთეული.

აქტივებისათვის, ამორტიზაცია ირიცხება იმგვარად, რომ აქტივების ღირებულება განაწილდეს მათი გემგური საექსპლუატაციო ვადის ზემოთ ნარჩენი ღირებულების გამოკლებით, წრფივი მეთოდის გამოყენებით. შემდეგი საექსპლუატაციო ვადები გამოიყენება ძირითადი საშუალებების ცვეთისათვის:

ძირითადი საშუალების ჯგუფი	სასარგებლო პერიოდის ვადა
შენობა-ნაგებობები	10-15 წელი
მანქანა-დანადგარები	5-7 წელი
ავტო სანტრასპორტო საშუალებები	5-10 წელი
კომპიუტერული და ელექტრონული მოწყობილობები	3-5 წელი

ძირითადი საშუალების ერთეული ჩამოიწერება ლიკვიდაციისას ან როდესაც მისი გამოყენების ან გასხვისებისგან აღარ არის მოსალოდნელი სამომავლო ეკონომიკური სარგებელი. ნებისმიერი მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშობა აქტივის ჩამოწერისას (გაანგარიშებული, როგორც სხვაობა განკარგვის წმინდა შემოსავალსა და აქტივების საანგარიშო ღირებულებას შორის) შედის მოგება-ზარალის ანგარიშში, როდესაც აქტივი ჩამოიწერება.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივების ძირითადი ნაწილი შეადგენს კომპანიის მიერ შეძენილ საბუღალტრო პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც ასახულია დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით.

სასაქონლო მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულების ჩამოწერა ხორციელდება საშუალო შეწონილი მეთოდის საფუძველზე.

როდესაც მშენებლობა ეხება რამდენიმე აქტივს, მაშინ თითოეული აქტივის მშენებლობა განიხილება როგორც დამოუკიდებელი და შესაბამისად ხდება მასზე გაწეული დანახარჯების მიკუთვნება სამშენებლო ერთეულის ღირებულების გამოსათვლელად. ფართის რეალიზაციის მომენტში თვითღირებულებად ჩამოიწერება გაყიდვის მომენტისათვის გაწეული დანახარჯების პროპორციული ნაწილი.

სავაჭრო მოთხოვნები

რეალიზაცია ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების საფუძველზე და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება სავაჭრო მოთხოვნების საბალანსო ღირებულებების გაანალიზება იმის დასადგენად, ხომ არ არსებობს რაიმე ობიექტური მტკიცებულება, რომ ეს თანხები არ ექვემდებარება ამოღებას. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. კომპანიას ამას გარდა აქვს პოლიტიკა ვადაგადაცილებული დებიტორული დავალიანების შეფასებისა, რის მიხედვითაც გამოანგარიშებული თანხები ექვემდებარება საექვო მოთხოვნების რეზერვებში აღრიცხვას, კერძოდ 720 დღემდე ვადაგადაცილებული თანხები ექვემდებარება 100 % - ით დარეზერვებას.

სავაჭრო ვალდებულებები

აღნიშნული ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების საფუძველზე აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშო პერიოდის ბოლოს უცხოურ

ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება კომპანიის ფულად ერთეულში (ლარში), საანგარიშო თარიღისათვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით მიღებული შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსულობა/ზარალში.

კომპანიის ძირითად ვალდებულებას შეადგენს მყიდველებისაგან მიღებული ავანსები და გრძელვადიანი ნასესხები თანხები.

ფული და ფულის ეკვივალენტები

	31 დეკემბერი 2024წ	31 დეკემბერი 2023წ
ფული და ფულის ეკვივალენტები	237348	72374

ფულის ნაშთი საბანკო ანგარიშებზე შესაძლოა კლასიფიცირებული იყოს როგორც არასარისკო, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ბანკები, სადაც კომპანიას საბანკო ანგარიშები აქვს არის სანდო და საყოველთაოდ ცნობილი საკრედიტო დაწესებულებები.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

კომპანიის სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის შემდეგი:

	31 დეკემბერი 2024წ.	31 დეკემბერი 2023წ.
სავაჭრო მოთხოვნები	1028 878	1436 965
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	945	1 217
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	10 828	86 913
სულ	1 040 651	1 525 095

მოკლევადიანი მოთხოვნები შემცირებულია 2024 წლის 31 დეკემბრისთვის მომწოდებლებზე გადახდილი ავანსების შემცირების ხარჯზე.

სასაქონლო მატერიალური მარაგები

	31 დეკემბერი 2024წ.	31 დეკემბერი 2023წ.
ნედლეული და მასალები	79 969	76 283
დაუმთავრებელი წარმოება	20 437	68 164
მზა პროდუქცია	6044 725	6376 496
სულ სასაქონლო მატერიალური მარაგი	6 145 131	6 520 943

მარაგების რაოდენობა 2024 წელს შემცირებულია რეალიზებული საცხოვრებელი ბინების თვითღირებულების პროპორციულად ჩამოწერის შესაბამისად.

გრძელვადიანი აქტივები

	31 დეკემბერი 2024წ.	31 დეკემბერი 2023წ.
მიწის ნაკვეთები	1213 000	1213 000
შენობები	11426 172	8352 098
მანქანა-დანადგარები და საწარმოო ინვენტარი	31 026	106 126
ოფისის ტექნიკური აღჭურვილობა	3 585	8 577
ავეჯი და სხვა ინვენტარი	900	1 500
სატრანსპორტო საშუალებები	3 857	5 786
გრძელვადიანი ინვესტიციები	18675 370	18888 295
სულ გრძელვადიანი აქტივები	31353 910	28575 382

კომპანია ფლობს მიწის ნაკვეთს ახალი მშენებლობებისათვის და კომერციულ ფართებს მის მიერ აშენებულ შენობებში. გარდა ამისა მონაწილეობს სხვა საზოგადოებებში გრძელვადიანი ინვესტიციების სახით.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

კომპანიის სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

	31 დეკემბერი 2024წ.	31 დეკემბერი 2023წ.
მოწ.და მომსახ.წარმოქმნილი ვალდებულებები	198 083	212 976
მიღებული ავანსები	2 730 356	3208 819
შეცდომით ჩარიცხული თანხები	6 950	6 950
გადასახდელი ხელფასები	78 213	139 650
მოკლევადიანი ვალდებულება გრძელვადიანი ინვესტიციების დაფარვაზე		59 609
წინასწარ ჩარიცხული საიჯარო ქირა	45 500	45 500
გადასახდელი პროცენტები	364 467	240 609
სულ მიმდინარე ვალდებულებები	3 423 568	3 914 113

2024 წელს მოკლევადიანი ვალდებულებები არ არის საგრძნობლად შეცვლილი, ვინაიდან კომპანიაში მიმდინარეობს საქონლისა და მომსახურების მომწოდებლებთან ურთიერთობის უწყვეტი პროცესი.

საბიუჯეტო გადასახადები გადახდილია მიღებული ავანსებიდან დამატებითი ღირებულების გადასახადის სახით, რაც იწვევს ზედმეტობას ფინანსურ ანგარიშგებაში. მათი ჩამოწერა მიმდინარეობს ბიზნესის საკუთრებაში გადაცემისა და რეალიზაციის აღიარებისთანავე.

შემოსავალი

კომპანიის შემოსავალის უდიდესი ნაწილი შედგება აშენებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების ფართების რეალიზაციიდან. დამატებით კომპანია ახორციელებს საკუთრებაში დატოვებული საოფისე ფართების ქირავნობის უფლებით გადაცემას.

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

აშენებული შენობის თვითღირებულება მოიცავს მშენებლობისათვის გაწეული

- ა) ნედლეულისა და მასალების დანახარჯებს;
- ბ) მშენებლობაზე დაკავებულ თანამშრომელზე გაცემულ ხელფასებს;
- გ) მასალების ტრანსპორტირების ხარჯებს;
- დ) მიწის ღირებულებას, რაზეც შენობაა განთავსებული;
- ე) წინასაპროექტო და საპროექტო ხარჯებს;
- ვ) კომუნალურ გადასახადებს;
- ზ) მენარდეების მიერ გაწეულ მომსახურების ხარჯებს;
- თ) ტრანსპორტისა და დანადგარების იჯარის ხარჯებს.

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს გაცემულ შრომით ანაზღაურებას და საპენსიო შენატანებს, კომუნალურსა და კომუნიკაციის ხარჯებს. მნიშვნელოვანია ოფისის მომსახურებისა და დაცვის უზრუნველყოფის ხარჯები.

სხვა შემოსულობა/ზარალი

2023 და 2024 წლებში კომპანიისთვის საკმაო ხარჯს წარმოადგენს კრედიტისთვის გადახდილი საპროცენტო ხარჯი.

კაპიტალი

კომპანიის კაპიტალი 31.12.2024_სათვის მთლიანად შედგება გაუნაწილებელი მოგებისა და სხვა მიღებული შემოსავლებისაგან და შეადგენს 23213287 ლარს.

საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშო პერიოდის შემდგომ არ მომხდარა ისეთი მოვლენები, რომლებიც მოითხოვს განმარტებით შენიშვნებში ასახვას.

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით

დირექტორი დავით ფანჯაკიძე თბილისი, საქართველო

01 აპრილი 2025 წელი

